სკოლა და მოქალაქეობრივი კომპეტენციები: რატომ ვერ იქცევა ცოდნა აქტიურ მოქალაქეობად?

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების ფაკულტეტი

სტუდენტი: **ნიკა კირკიტაძე**

24.01.2026

განსახილველი საკითხები

- მოსწავლის როლი სკოლაში და სკოლის პასუხისმგებლობა მოქალაქის ფორმირებაში
- რეალურად რას აძლევს სკოლა მოსწავლეს დღეს — სიტუაციის ანალიზი
- შეფასება სკოლაში
- როგორ მოქალაქეს ვზრდით არსებული სასკოლო პრაქტიკის პირობებში
- პრობლემის გადაჭრის გზები: როგორ უნდა შეცვალოს სკოლამ სწავლების პრაქტიკა
- მოკლე შეჯამება

EAST EUROPEAN UNIVERSITY

მოსწავლის როლი სკოლაში

- კრიტიკული აზროვნების სწავლის ხელშეწყობა
- ცოდნის პრაქტიკული გამოყენება
- არგუმენტირებული მსჯელობა
- პრობლემების გამკლავებისთვის მომზადება
- სკოლისშემდგომი ცხოვრებისთვის მომზადება

EAST EUROPEAN UNIVERSITY

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ფაქტების ანალიზს, მოვლენებს შორის კავშირის დანახვას, სხვადასხვა წყაროს შედარებას და ინფორმაციის შეფასებას. ასეთ პირობებში მოსწავლე აღარ არის პასიური მსმენელი — იგი ხდება მოაზროვნე ინდივიდი, რომელსაც შეუძლია დასვას კითხვები და ეძებოს პასუხები.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ცოდნა, რომელიც არ გამოიყენება რეალურ კონტექსტში, სწრაფად კარგავს ღირებულებას. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეს შესაძლებლობა, ნასწავლი ცოდნა დაუკავშიროს ყოველდღიურ ცხოვრებას, საზოგადოებრივ პროცესებსა და რეალურ პრობლემებს. მაგალითად, ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა თუ მედიაწიგნიერების სწავლებისას მოსწავლე უნდა სწავლობდეს არა მხოლოდ ფაქტებსა და ტერმინებს, არამედ ამ ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთკავშირსა და მათ გავლენას თანამედროვე საზოგადოებაზე.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

არგუმენტირებული მსჯელობა

მოსწავლემ უნდა ისწავლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება, განსხვავებული აზრის მოსმენა და მასზე რეაგირება ფაქტებისა და არგუმენტების საფუძველზე. ეს უნარი პირდაპირ უკავშირდება დემოკრატიულ კულტურას და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. სკოლა, რომელიც არ აძლევს მოსწავლეს საკუთარი აზრის გამოხატვისა და დაცის შესაძლებლობას, ფაქტობრივად ზღუდავს მის მოქალაქეობრივ განვითარებას.

ფინეთის განათლების სისტემა

ფინეთის განათლების სისტემაში სწავლება აგებულია პრობლემაზე დაფუძნებულ მიდგომაზე, სადაც მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული საკითხების გარშემო მუშაობენ, აანალიზებენ სიტუაციებს და ეძებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს. ამ პროცესში ისინი ავითარებენ როგორც კრიტიკულ აზროვნებას, ისე პასუხისმგებლობის გრძნობას.

სკოლებოს რაოდენობა - 2800+
საჯარო - 2720+
კერძო - 80+

რეალურად რას აძლევს სკოლა მოსწავლეს დღეს — სიტუაციის ანალიზი

ზოგადი განათლების საფეხურზე საქართველოში დიდი ნაწილი სკოლების სწავლების მიდგომები კვლავ ფოკუსირებულია კავშირებზე, ტექსტის ცოდნაზე და ტრადიციულ გაკვეთილებზე.

- პროექტული სწავლების და საერთაშორისო გამოცდილების შეზღუდული პოტენციალი -
- დამოუკიდებლობისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების შეზღუდვა -
- შეფასების სისტემა და მისი დომინანტური როლი -
- სკოლების რესურსებისა და ინფრასტრუქტურის არათანაბრობა -

- **სკოლები საქართველოში - 2295**
- **საჯარო - 2086**
- **კერძო - 209**

რას აფასებს სკოლა რეალურად - შეფასების კულტურა

თანამედროვე ქართულ სკოლაში შეფასების პრაქტიკა ძირითადად **ტექსტზე, ფაქტობრივ ცოდნასა და უნარებზეა ორიენტირებული**. მოსწავლე ფასდება იმის მიხედვით, რამდენად სწორად შეუძლია ტექსტის გადმოცემა, განსაზღვრებების დამახსოვრება ან უკვე მოცემული ინფორმაციის გამეორება. ასეთ პირობებში შეფასება ნაკლებად ითვალისწინებს ცოდნის გააზრებას, ინტერპრეტაციასა და პრაქტიკულ გამოყენებას.

პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივი მიზნები მოიცავს ღირებულებებს, უნარებსა და ქცევებს, **ეს კომპონენტები პრაქტიკულად გაუზომავი რჩება**. სკოლა იშვიათად აფასებს მოსწავლის არგუმენტირებულ მსჯელობას, კრიტიკულ ანალიზს, თანამშრომლობის უნარს, პასუხისმგებლობის აღებას ან მოქალაქეობრივ ინიციატივას. შედეგად, ის, რაც ფორმალურად საგნის მიზნად არის გამოცხადებული, შეფასების პროცესში მეორე პლანზე გადადის.

პრობლემის გადაჭრის გზები

- პროექტული სწავლების გაძლიერება
- გამოწვევების მიმღებლობა
- მოსწავლეებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მიცემა გადაწყვეტილებების მიღებაში
- სკოლისგარეთ აქტივობებში ჩართვა
- განმავითარებელი შეფასებების მიცემა მოსწავლეებისთვის
- მასწავლებლებში მზაობის ამაღლება
- ინტეგრირებული და ინოვაციური გაკვეთილები
- ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების, თანამედროვე სასწავლო სივრცის, ტექნოლოგიური ინვენტარის მოწესრიგება
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება

მადლობა ყურადღებისთვის!